




საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობაზე თანხმობების გაცემა

სამართლებრივი მიმოხილვა



**ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე
გარე ვაჭრობაზე
თანხმობების გაცემა**

სამართლებრივი მიმონილვა

მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტის - “ანგარიშგაღებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა საქართველოში” - ფარგლებში. ფინანსური მხარდაჭერა - “ღია საზოგადოების ინსტიტუტი” (OSI), “ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო” (OSGF).



ავტორი: **სულხან სალაქია**

რედაქტორი: **ხათუნა ყვირაღაშვილი**

სტილი და კორექტურა: **მანია მეცხვარიშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **თამარ ჩუგოშვილი**
თამარ კორქია

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
ტირაჟი: 300 ც.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2011, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობაზე თანხმობების გაცემა
სამართლებრივი მიმოხილვა
შინაარსი

1. შესავალი	4
2. საკანონმდებლო ბაზა	4
3. გარე ვაჭრობაზე თანხმობის გაცემის წესი და ვადა	5
4. საანგარიშო პერიოდი და ზოგადი სტატისტიკა	7
5. გარე ვაჭრობისთვის თანხმობაზე უარის თქმის ძირითადი საფუძვლები და პრივილეგირებული კომპანიები	8
➤ შპს “უაიდ დისტრიბუშენი”	9
➤ შპს “აუთდორ.ჯი”	9
➤ შპს “მაგი მედია”	10
➤ შპს “ნუგეში”	10
➤ შპს “საქართველოს ლატარიის კომპანია”	11
6. დადებითი გადაწყვეტილებების სტატისტიკა	14
➤ სტატისტიკა თბილისის მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიების მიხედვით	16
➤ სტატისტიკა რუსთაველის, ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას გამზირების მიხედვით	17
➤ სტატისტიკა თბილისის რაიონების მიხედვით	19
7. გარე ვაჭრობის აკრძალვის ზონები ქ. თბილისის ტერიტორიაზე	21
➤ შეცვლილი აკრძალვის ზონები	23
8. დასკვნა	25
9. ტერმინთა განმარტება	26
10. დანართები	27
➤ ორი კომპანიის ერთი ჯიხური	27
➤ “დანართი #1 რუკა”	28
➤ “დანართი #2 რუკა”	29
➤ პრინციპი: “სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება”	30
➤ დანართი #5	31
➤ დანართი #6	32
➤ ვებ-გვერდი http://urban.tbilisi.gov.ge	33
➤ არქიტექტურის სამსახურის მიერ მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილება	35

შესავალი

წარმოდგენილ კვლევაში ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა, თბილისის ტერიტორიაზე, საზოგადოებრივ ადგილებში, გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსებაზე თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული თანხმობების კანონიერების პროცესი, ძირითადი ტენდენციები და პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემები.

აღნიშნული თანხმობების ანალიზმა აჩვენა, რომ ერთეული იურიდიული პირები, სხვა დაინტერესებული სუბიექტებისაგან განსხვავებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ამასთან, დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მეტ სიზუსტეს მოითხოვს, ხოლო სამართლებრივ აქტებში შეტანილი ცვლილებები – მეტ დასაბუთებას.

კვლევა დაფუძნებულია ადმინისტრაციული ორგანოებიდან მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებასა და ანალიზზე. შესაბამისად, ჩვენი კვლევის ძირითადი საფუძველია ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოთხოვილი და მიღებული საჯარო ინფორმაცია, ასევე – ვიზუალური ფოტომასალა.

კვლევის განსახორციელებლად “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”, საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით, შემდეგ ორგანოებს მიმართავდა:

ქ. თბილისის მერია, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.¹

სამწუხაროდ, არცთუ იშვიათ შემთხვევაში, მოთხოვნილი ინფორმაციის მიღება მთელ რიგ სიძნელებთან იყო დაკავშირებული: ადგილი ჰქონდა ინფორმაციის არასრულყოფილი სახით გაცემას; ზოგიერთი განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია კი ამ დრომდე არ მიგვიღია.

შესაბამისად, ინფორმაციის მიღების მიზნით, საია იყენებდა, როგორც ადმინისტრაციული საჩივრის, ისე სასამართლოს გზით ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას.²

კვლევა მოიცავს 2009 წლის 24 მარტიდან³ 2011 წლის 14 ივლისის ჩათვლით პერიოდს.

კვლევა მომზადებულია პროექტის - “გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, ღია საზოგადოების ინსტიტუტის და ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით.

საკანონმდებლო ბაზა

2005 წლის 15 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. აღნიშნულმა

¹ სულ 15 განცხადება;

² სულ 4 ადმინისტრაციული საჩივარი და 1 სასარჩელო განცხადება

³ მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მიღების თარიღი;

კანონმა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებათა ჩამონათვალს მიაკუთვნა მშენებლობის ნებართვის გაცემა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე კანონით დადგენილი წესით ზედამხედველობის განხორციელება.⁴

არსებითად იგივე უფლებამოსილებას ეხება საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც ქ. თბილისის თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მშენებლობის ნებართვის გაცემა და მიმდინარე მშენებლობებზე ზედამხედველობა.⁵

მშენებლობის ნებართვასა და სამშენებლო პირობებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა ისეთი საკითხები, როგორცაა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი, სანებართვო პირობები და მშენებლობის სახეობები. აღნიშნული დადგენილების მიხედვით, მშენებლობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - დროებითი შენობა-ნაგებობების მონტაჟი/განთავსება.⁶

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტია 2010 წლის 23 სექტემბერს ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებული #25.04.1186 დადგენილება, რომლითაც განსაზღვრულია ქ. თბილისის ტერიტორიაზე დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილები.⁷

ქ. თბილისის ტერიტორიაზე დაინტერესებული პირების მიერ დროებითი შენობა-ნაგებობების მონტაჟი/განთავსების და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების რეგულირების პროცესში, ძირითადად, ორი ორგანო – ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის არქიტექტურის სამსახური და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური მონაწილეობს.

გარე ვაჭრობის თანხმობის გაცემის წესი და ვადა

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებით, შენობა-ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები 5 კლასად დაიყო. პირველ კლასს მიეკუთვნა შენობა-ნაგებობები, რომლებიც მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებს.⁸

დადგენილების მიხედვით, ამ ტიპის ნაგებობათა შორისაა საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობები ან/და დანადგარები.⁹

⁴ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, „ლ“ ქვეპუნქტი;

⁵ საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი;

⁶ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი;

⁷ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილება მიღებულია - „მშენებლობის ნებართვის გაცემის და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

⁸ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი;

⁹ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი;

ამავე დადგენილების შესაბამისად, მშენებლობის მწარმოებელი/დამკვეთი ვალდებულია, განზრახული მშენებლობის შესახებ, განცხადებით აცნობოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს.¹⁰

დაინტერესებულმა პირმა, საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების მშენებლობა/მონტაჟის შემთხვევაში, განცხადებას თან უნდა დაურთოს:

- გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარის განთავსების ადგილის ტოპოგრაფიული რუკა, განთავსების ადგილის ჩვენებით;
- შენობა-ნაგებობის ესკიზური ნახაზი.¹¹

მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო, წარდგენილი სრულყოფილი დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე, 5 დღის ვადაში წერილობით ადასტურებს დაგეგმილი მშენებლობა/მონტაჟის ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობას და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას. ხოლო თუ ხუთი დღის ვადაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო განმცხადებელს პასუხს არ აცნობებს, მესაკუთრე ან/და მოსარგებლე უფლებამოსილია დაიწყოს მშენებლობა.¹²

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია, რომ ერთის მხრივ მის სამოქმედო ტერიტორიაზე განსაზღვროს შესაბამისი ზონები, პირობები და პირველ კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობები, რომელთა განთავსება/მშენებლობა მშენებლობის ნებართვის ან/და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის გარეშე იქნება შესაძლებელი. ხოლო მეორეს მხრივ შესაბამისი ზონები და პირობები, სადაც I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა გარკვეული სახეობების განთავსება/მშენებლობა აკრძალული იქნება.¹³

დადგენილების თანახმად, ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებული დროებითი ნაგებობები უნდა განთავსდეს მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებით განსაზღვრული ვადით.¹⁴

დადგენილებით განისაზღვრება, ასევე, საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადა, რომელიც შეადგენს ერთ წელს და შესაძლებელია, ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ, ვადის მაქსიმუმ ერთი წლით გაგრძელდება. ვადის ამოწურვის შემდეგ, თუკი არ ხდება მისი გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებობის დემონტაჟი (დაშლა/დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე, ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.¹⁵

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-2 პუნქტი;

¹¹ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-6 პუნქტი. ამავე დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისგან განსხვავებით, 66-ე მუხლის მე-6 პუნქტში, საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების სიმაღლე მითითებულია 3 მ. და არა 2,5 მ., როგორც ეს დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით არის გათვალისწინებული;

¹² საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები;

¹³ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის მე-2 და მე-2¹ პუნქტები;

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-17 მუხლის პირველი პუნქტი;


¹⁵ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი

საზოგადოებრივ ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.¹⁶ ხოლო სამშენებლო მოედანზე მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების შესაბამისად განსაზღვრული მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების ვადა განისაზღვრება მშენებლობის განხორციელების დოკუმენტით.¹⁷

საანგარიშო პერიოდი და ზოგადი სტატისტიკა

2009 წლის 24 მარტიდან - 2011 წლის 14 ივლისის ჩათვლით, გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების მოთხოვნით არქიტექტურის სამსახურში 2515 მისამართზე შევიდა დაინტერესებული სუბიექტების განცხადებები¹⁸.

აღნიშნულ განცხადებებთან მიმართებაში არქიტექტურის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:¹⁹



ამ მონაცემებში ცალკე გრაფად გამოყოფილი „მიმდინარე“ და „შუალედური“, რიგ შემთხვევაში, უარყოფით გადაწყვეტილებებს წარმოადგენს, რაც ნათლად იკითხება არქიტექტურის სამსახურის მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებების შინაარსში.

„შუალედური“ გადაწყვეტილებების შემთხვევაში, არქიტექტურის სამსახური განცხადების წარმდგენ სუბიექტებს ხშირად მიუთითებდა ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა: წარდგენილი ესკიზური ვარიანტის გაუმჯობესება, უკეთესი დიზაინი, საჭირო თანდართული დოკუმენტების სრულყოფილი სახით წარმოდგენა და სხვა. ფაქტობრივად, ე.წ. „შუალედური“ გადაწყვეტილებები თავისი შინაარსით კონკრეტული წარდგენილი განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას წარმოადგენს.

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი;



¹⁷ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი

¹⁸ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 19 აგვისტოს #07/90371-13 კორეპონდენცია;

¹⁹ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 19 აგვისტოს #07/90371-13 კორეპონდენცია;

არქიტექტურის სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით²⁰ ჩვენ შევეცადეთ გადაგვემოწმებინა ამავე სამსახურის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც ინფორმაციის მოწოდების ეტაპზე, ე.წ. „მიმდინარე“ საქმეთა კატეგორიაში იყო გაერთიანებული.

„მიმდინარე“ და „შუალედური“ გადაწყვეტილებების შესწავლის შემდეგ, არქიტექტურის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკის შესახებ ასეთი სურათი მივიღეთ:



გარე ვაჭრობის თანხმობაზე უარის თქმის ძირითადი საფუძვლები და პრივილეგირებული კომპანიები

არქიტექტურის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული იმ გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც დაინტერესებულ პირებს უარი ეთქვათ, საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსებაზე, შემდეგი სურათი იკვეთება:

²⁰ არქიტექტურის სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://architect.tbilisi.gov.ge>, სპეციალურ ველში დოკუმენტის ნომრის (იგივე განცხადების რეგისტრაციის ნომრის) შეყვანის შემთხვევაში, განცხადებაზე მიღებული გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას იძლევა

უარყოფით გადაწყვეტილებებს, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ, არქიტექტურის სამსახური, ძირითადად, ერთი და იგივე შინაარსის მიზეზით იღებდა, რომლითაც, განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საფრთხე ექმნებოდა გამწვანების ზონებისა და მწვანე ნარგავების დაზიანებას, ფეხმავალთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვას, სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხებას. ამასთან, ობიექტის მხატვრული იერ-სახე და დიზაინი არ ერწყმოდა ქალაქის კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებულ განაშენიანებას.²¹

ამ ტიპის გადაწყვეტილებებს განსაკუთრებით ხშირად ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილების მიღებამდე ჰქონდა ადგილი. ამ დადგენილების მიღების შემდეგ კი, უარის თქმის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი გახდა ქ. თბილისის ტერიტორიაზე აკრძალვის ზონების დაწესება, რომლის მიხედვითაც თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე, გამზირებზე, თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვისა და რეგულირების ზონის საზღვრებში, მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე აკრძალა საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსება.²²

თუმცა ის, რაც, განცხადების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, დამაბრკოლებელი გარემოება იყო განცხადების წარმდგენ სუბიექტთა უმრავლესობისათვის, პრობლემას არ წარმოადგენდა რიგი პრივილეგირებული კომპანიებისათვის.

შპს „უაიდ დისტრიბუშენი“²³

არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 6 აგვისტოს #12/98802-13 და 2010 წლის 15 სექტემბრის #07/110704-13 გადაწყვეტილებებით ირკვევა, რომ შპს „უაიდ დისტრიბუშენი“, არქიტექტურის სამსახურში ორი განცხადება წარადგინა და ქ. თბილისის ტერიტორიაზე, საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების უფლება მოითხოვა. თავის მხრივ, არქიტექტურის სამსახურმა კომპანიას 185 მისამართზე მისცა თანხმობა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და გამზირებზე, ასევე, მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე მოდის.²⁴

შპს „აუთდორ.ჯი“

შპს „უაიდ დისტრიბუშენი“ არ ყოფილა ერთადერთი, ვინც პრივილეგირებულ კომპანიათა რიცხვში აღმოჩნდა. იგივე შეიძლება ითქვას შპს „აუთდორ.ჯი“-ზე, რომელსაც ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით²⁵, არქიტექტურის სამსახურმა განცხადებებში აღნიშნულ ოცდათორმეტსავე მისამართზე მისცა გარე ვაჭრობისთვის

²¹ მაგ. არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის ## 12/23820-13, 12/23955-13, 12/23785-13, 12/23628-13, 12/23614-13, 12/23611-13, 12/23617-13, 12/23609-13, 12/23912-13, 12/23614-13 გადაწყვეტილებები

²² ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #15.04.1186 დადგენილება;

²³ 2011 წლის 5 მაისით დათარიღებული სამეწარმეო ამონაწერის მიხედვით, შპს „უაიდ დისტრიბუშენი“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა: შპს „EXPRESS“;

²⁴ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 6 აგვისტოს #12/98802-13 და 2010 წლის 15 სექტემბრის #07/110704-13 გადაწყვეტილებები. იხ. დანართები #8-3 და #8-4;

²⁵ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 19 აგვისტოს #07/90371-13 კორესპონდენცია;

განკუთვნილი დროებითი შენობა/ნაგებობებისა და კონსტრუქციების განთავსების უფლება.²⁶

ისევე, როგორ შპს „უაიდ დისტრიბუშენის“, შპს „აუთდორ.ჯის“ შემთხვევაშიც, გაცემული თანხმობების მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქის ცენტრალურ ქუჩებს, გამზირებსა და მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიებს მოიცავს.²⁷

შპს „მაგი მედიას“

პრივილეგირებულ კომპანიათა რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ, ასევე, შპს „მაგი მედიას“, რომელმაც არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი განცხადებებით მოთხოვნილ ორმოცდაათსავე მისამართზე მიიღო გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი დროებითი შენობა/ნაგებობებისა და კონსტრუქციების განთავსების უფლება.²⁸

შპს „მაგი მედიას“ მიერ მიღებული თანხმობების დიდი ნაწილიც, ქალაქის ცენტრალურ ქუჩებს, გამზირებსა და მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიებს მოიცავს.²⁹

შპს „ნუგეში“

კიდევ ერთი კომპანია, რომელიც პრივილეგირებულ სიტუაციაში აღმოჩნდა არის, შპს „ნუგეში“.

სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „ნუგეში“ 2010 წლის 18 ივნისს დაფუძნდა, ხოლო 2010 წლის 10 სექტემბერს ერთდროულად 83 მისამართზე მიიღო გარე ვაჭრობის განხორციელების მიზნით დროებითი შენობა-ნაგებობების განთავსების უფლება.³⁰

საანგარიშო პერიოდში კომპანიას სულ 85 მისამართზე აქვს მიღებული გარე ვაჭრობის განხორციელების მიზნით დროებითი შენობა-ნაგებობების განთავსების უფლება.³¹

²⁶ არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 18 მაისის #07/28331-13 გადაწყვეტილება. იხ. დანართი #8-2;

²⁷ არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 18 მაისის #07/28331-13 გადაწყვეტილება;

²⁸ არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 18 მაისის #07/28331-13 გადაწყვეტილება;

შპს „მაგი მედიას“ შესახებ ინფორმაციას არ შეიცავდა არქიტექტურის სამსახურის მიერ მოწოდებული არც ოფიციალური დოკუმენტები და არც არქიტექტურის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ელექტრონული სია. ინფორმაცია შპს „მაგი მედიას“ შესახებ, არქიტექტურის სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის <http://architect.tbilisi.gov.ge> საშუალებით მოვიპოვეთ. ამასთან, არქიტექტურის სამსახურს 2011 წლის 18 მაისს ერთი და იგივე ნომრით 07/28331-13 ორი გადაწყვეტილება აქვს მიღებული. ერთი მათგანი ეხება შპს „აუთდორ.ჯის“, ხოლო მეორე შპს „მაგი მედიას“. არქიტექტურის სამსახურის მიერ მოწოდებული გადაწყვეტილებების ელექტრონულ სიაში, შპს „აუთდორ.ჯის“ გასწვრივ 50 მისამართზეა დადებითი გადაწყვეტილება მითითებული, თუმცა არქიტექტურის სამსახურის ერთი და იგივე 07/28331-13 ნომრით მიღებული ორი გადაწყვეტილების მიხედვით, ელექტრონულ სიაში გაკეთებული 50 ჩანაწერიდან 35 – შპს „მაგი მედიას“ ეკუთვნის, ხოლო 16(?) შპს „აუთდორ.ჯის“. შესაბამისად, ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ არ არისაზა არქიტექტურის სამსახურის მიერ მოწოდებულ ერთიან ელექტრონულ სიაში შპს „მაგი მედიას“ და რატომ გააერთიანა არქიტექტურის სამსახურმა ამ უკანასკნელზე გაცემული თანხმობის 35 შემთხვევა შპს „აუთდორ.ჯისთან“. წარმოდგენილ კვლევაში შეტანილი დიაგრამები მომზადებულია არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 19 აგვისტოს #07/90371-13 კორესპონდენციით მოწოდებული ელექტრონული სიის მიხედვით და არ შეიცავს ინფორმაციას ცალკე შპს „მაგი მედიას“ შესახებ. იხ. დანართი #8-1;

²⁹ არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 18 მაისის #07/28331-13 გადაწყვეტილება;

³⁰ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 სექტემბრის #12/109311-13 გადაწყვეტილება. იხ. დანართი #8-5;

³¹ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 სექტემბრის #12/109311-13 და 2011 წლის 29 მარტის #12/31445-13 გადაწყვეტილებები;

სხვა პრივილეგირებული კომპანიებისგან განსხვავებით, შპს „ნუგეშის“ სავაჭრო ჯიხურების მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქის გარეუბნებშია განთავსებული.³²

ეს კომპანია იმითაც არის საინტერესო, რომ 2011 წლის 7 თებერვალს, ქართული სატელევიზიო არხების საინფორმაციო გამოშვებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც თბილისის მერმა გიორგი უგულავამ განაცხადა: “ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ კერძო ინვესტორს მივცეთ შესაძლებლობა, რომ თბილისში თითქმის 200 ადგილას გაჩნდეს ასეთი ობიექტები, სადაც შესაძლებელია, რომ მომხმარებელს პროდუქცია 15-20%-ით იაფად შესთავაზონ.”³³ მისივე განცხადებით - „მე ყოველდღიურად ვაკონტროლებ ამ ფასებს და მომდის ფასთა სხვაობა.“³⁴

კვლევაზემუშაობის პერიოდში, ჩვენ დავინტერესდით, თურთიყო განპირობებული ქ. თბილისის მერის მხრიდან შპს „ნუგეშისადმი“ მსგავსი განცხადების გაკეთება და თბილისის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს შემდეგი შინაარსის წერილობითი განცხადებით მივმართეთ:

- რა პრინციპით შეირჩა ზემოთ აღნიშნული მიზნებისათვის სავაჭრო ობიექტების ქსელი “ნუგეში”?
- რა სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება ქ. თბილისის მერიასა და “ნუგეშს” შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა?
- ზემოთ აღნიშნული სავაჭრო ობიექტების ქსელთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერიის მიერ გამოცემული ყველა სამართლებრივი აქტისა და გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები.³⁵

განცხადების პასუხად, ერთადერთი, რაც თბილისის მერიიდან გვაცნობეს იყო ის, რომ: „ქ. თბილისის მერიასა და სავაჭრო ობიექტების ქსელ „ნუგეშს“ შორის ხელშეკრულება არ გაფორმებულა“.³⁶

შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შემდეგ გაურკვეველი დარჩა, თუ რა სამართლებრივ გარემოებებზე იყო დაფუძნებული თბილისის მერის მიერ, 2011 წლის 7 თებერვალს გაკეთებული განცხადება.³⁷

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“

კიდევ ერთი იურიდიული პირი, რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, არის შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“. მართალია, მას, ზემოხსენებული იურიდიული პირებისგან განსხვავებით, სულ 17 მისამართზე აქვს გარე ვაჭრობის განხორციელების მიზნით დროებითი შენობა-ნაგებობების და/ან დანადგარების განთავსების უფლება მიღებული³⁸, თუმცა, არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 15 სექტემბრის #07/110704-13 გადაწყვეტილების მიხედვით, შპს „უაიდ დისტრიბუშენმა“ ერთდროულად 68 მისამართზე მიიღო პრესის, ლატარიისა და ლოტოს სარეალიზაციო დროებითი ობიექტების განთავსების უფლება.³⁹

³² არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 10 სექტემბრის #12/109311-13 გადაწყვეტილება;

³³ ვებ-გვერდი: <http://new.tbilisi.gov.ge/news/37>;

³⁴ ვებ-გვერდი: <http://new.tbilisi.gov.ge/news/37>;

³⁵ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2011 წლის 10 მარტის #გ-04/52-11 განცხადება;

³⁶ თბილისის მერიის 2011 წლის 22 მარტის #11/22675-7 კორესპონდენცია

³⁷ ვებ-გვერდი: <http://new.tbilisi.gov.ge/news/37>;

³⁸ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 4 ოქტომბრის #07/117470-13 და 2011 წლის 3 მაისის #07/47833-13 გადაწყვეტილებები. იხ. დანართი #8-6;

³⁹ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 15 სექტემბრის #07/110704-13 გადაწყვეტილება;

ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ საქართველოში არის ექსკლუზიური უფლების მქონე ლიცენზირებული ოპერატორი, რომელიც ლატარიის თამაშობებს მთელი ქვეყნის მასშტაბით მართავს⁴⁰, ნათელი ხდება, რომ შპს „უაიდ დისტრიბუშენი“, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიასთან“ შეთანხმების გარეშე, ლატარიისა და ლოტოს ბილეთების რეალიზაციის მიზნით, დროებით ობიექტებს ვერ განათავსებდა.

კომპანიის პრივილეგირებულ სტატუსზე მიუთითებს, ასევე, ის ფაქტიც, რომ ქ. თბილისის მთავრობის მხრიდან დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების აკრძალვის ზონები არ ვრცელდება გარე ვაჭრობას დაქვემდებარებულ ლატარიის ბილეთების სარეალიზაციო მობილურ დანადგარებზე და მათი განთავსება ნებადართულია ქალაქ თბილისის მთელ ტერიტორიაზე.⁴¹

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიამ“ უკვე ისარგებლა ქ. თბილისის მთავრობის მიერ ზემოთ აღნიშნული მინიჭებული უფლებით და 2011 წლის 3 მაისს, ქ. თბილისის ტერიტორიაზე დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ექვსი ისეთი თანხმობა მიიღო, რომლის გაცემის საფუძვლადაც არქიტექტურის სამსახურმა სწორედ ლატარიის ბილეთების სარეალიზაციო მობილურ დანადგარებსა და მათ განთავსებაზე აკრძალვის ზონების გაუქმება მიუთითა.⁴²

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ, როგორც წესი, ზემოთ აღნიშნული ე.წ. პრივილეგირებული კომპანიების შემთხვევაში, ამ უკანასკნელთა მიერ წარდგენილი ობიექტების მხატვრული იერ-სახე და დიზაინი „უნივერსალურია“ და ქალაქის ნებისმიერი ნაწილის განაშენიანებას ორგანულად ერწყმის.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებით, შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების მშენებლობა/მონტაჟთან დაკავშირებული მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ, წარდგენილი სრულყოფილი დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე, წერილობით უნდა დაადასტუროს დაეგმილი მშენებლობა/მონტაჟის ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობა⁴³, თუმცა, ეს დადგენილება დეტალურად არ განსაზღვრავს, თუ რა ფორმით უნდა მოახდინოს ნებართვის გამცემმა ორგანომ დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტების ქალაქმშენებლობის დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევაზე მუშაობის დროს წერილობით მივმართეთ არქიტექტურის სამსახურს და მოვითხოვეთ შემდეგი ინფორმაცია:

- ✓ საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების უფლების დადასტურების მიზნით, არქიტექტურის სამსახურის მიერ რა ფორმით მიიღება გადაწყვეტილება (მაგ. ერთპიროვნულად, საბჭოს მიერ და ა.შ.)?
- ✓ არქიტექტურის სამსახურის რომელი სტრუქტურული ქვედანაყოფი

⁴⁰ <http://georgianlottery.com/ka/mcompany/mabout>;

⁴¹ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილების „1²“ პუნქტი. დეტალური ინფორმაცია ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ;

⁴² არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 3 მაისის #07/47833-13 გადაწყვეტილება. იხ. დანართი #8-6;

⁴³ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-7 პუნქტი;

– დეპარტამენტი ახორციელებს საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების უფლების დადასტურებას და დადასტურებაზე უარის თქმას?

- ✓ საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების უფლების დადასტურების მიზნით, არქიტექტურის სამსახურის მიერ რა სახის სამუშაოების შესრულება ხორციელდება (მაგ. შემოიფარგლება წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით, ხდება განცხადებაში აღნიშნული ტერიტორიის ადგილზე ნახვა/დათვალიერება და ა.შ.)?⁴⁴

არქიტექტურის სამსახურის ინფორმაციით: სამსახური უფლებამოსილია გასცეს თანხმობა საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი დანადგარების მშენებლობა/მონტაჟისათვის, რომლის მოთხოვნის შემთხვევაშიც, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი დროებითი დანადგარის განთავსების ადგილის სიტუაციური გეგმა, განთავსების ადგილის ჩვენებით;
- შენობა-ნაგებობის ესკიზური ნახაზი.

აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის, მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების მომზადების განყოფილების გადაწყვეტილების საფუძველზე, ხდება შესაბამისი აქტის გამოცემა დროებითი დანადგარების მშენებლობა/მონტაჟისათვის.⁴⁵

ამდენად, არქიტექტურის სამსახური, საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ნებართვის გაცემისას, მხოლოდ დოკუმენტაციის შესწავლით შემოიფარგლება და არ ხდება კონკრეტული ობიექტის განთავსების ადგილის ნახვა.

ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად სრულყოფილ და ამომწურავ ინფორმაციას იძლევა დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილი განცხადებები და თანდართული დოკუმენტები.

ჩვენი არაერთი მცდელობის მიუხედავად, რომ საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებით, მიგველო დაინტერესებული პირების მიერ არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი ყველა იმ განცხადების ასლი და შესაბამისი დანართები, რომელიც დაკავშირებული იყო გარე ვაჭრობის განხორციელების მიზნით, საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობებისა და დანადგარების მშენებლობასთან, ასევე, არქიტექტურის სამსახურის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების ასლი, – ეს ინფორმაცია სრულყოფილად არ იქნა გაცემული.⁴⁶

თუმცა, არქიტექტურის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ შპს „აუთდორ.ჯისა“ და შპს „უაიდ დისტრიბუშენის“ მიერ არქიტექტურის სამსახურში სხვადასხვა დროს წარდგენილ განცხადებებზე თანდართულ

⁴⁴ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2011 წლის 10 მაისის #გ-04/107-11 განცხადება;

⁴⁵ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 25 მაისის #07/54135-13 კორესპონდენცია;



⁴⁶ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2011 წლის 3 მაისის #გ-04/100-11 განცხადება; არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 ივნისის #07/175537-13 კორესპონდენცია

ფოტომონტაჟებზე გამოსახული ჯიხურების მოდელები ერთნაირი ფორმის, ზომისა და მოცულობისაა.

უფრო მეტიც, შპს „უაიდ დისტრიბუშენის“ მიერ არქიტექტურის სამსახურში 2010 წლის 9 სექტემბერს წარდგენილ განცხადებაზე თანდართული კონსტრუქციების ფოტომონტაჟზე ის ჯიხურიც ფიგურირებს, რომელიც 2009 წლის 29 აპრილს შპს „აუთდორ.ჯის“ მიერ წარდგენილ განცხადებაზე იყო თანდართული.⁴⁷


დადებითი გადაწყვეტილებების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში არქიტექტურის სამსახურმა, საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების მიზნით, ჯამში, 739 თანხმობა/დასტური გასცა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი – თანხმობების 60%, 11 კომპანიაზე მოდის:



⁴⁷ არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 18 მაისის #07/28331-13 და 2010 წლის 15 სექტემბრის #07/110704-13 გადაწყვეტილებები. იხ.დანართები #1, #8-2, #8-4.

თავის მხრივ, ამ 11 კომპანიაზე არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული თანხმობების სტატისტიკა ასე გამოიყურება:



კვლევაზე მუშაობის დროს, თბილისის არქიტექტურის სამსახური, ჩვენს მიერ წარდგენილი არაერთი განცხადების პასუხად, აღნიშნავდა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დაგენილებით, ქ. თბილისის ცენტრალურ მაგისტრალეზე, გამზირებზე, თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის და რეგულირების ზონის საზღვრებში, მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე აიკრძალა საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობებისა და დანადგარების განთავსება. გარე ვაჭრობის მიზნით ჯიხურების განთავსება შესაძლებელია მხოლოდ საცხოვრებელი ზონების შიდა კვარტალურ ტერიტორიებზე, სადაც ადგილი არ ექნება ფეხმავალთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვას და მწვანე ნარგავების დაზიანებას.⁴⁸


აღნიშნული დადგენილების მიღებით არქიტექტურის სამსახურს აკრძალვის ზონებში განთავსებულ ობიექტებზე ვადის გასვლის შემთხვევაში, ვადის არაუმეტეს ერთი წლით გაგრძელების უფლება მიენიჭა⁴⁹:

⁴⁸ მაგ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 21 მარტის #07/22666-13 და 13 აპრილის #07/33301-13 კორესპონდენციები;

⁴⁹ მაგ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 21 მარტის #07/22666-13 და 13 აპრილის #07/33301-13 კორესპონდენციები;

სტატისტიკა თბილისის მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიების მიხედვით

მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების თხოვნით, საანგარიშო პერიოდში 317 განცხადება შევიდა თბილისის არქიტექტურის სამსახურში, რომელმაც 76 შემთხვევაში თანხმობა/დასტური გასცა:



ქ. თბილისის ტერიტორიაზე აკრძალვის ზონების დაწესების მიუხედავად⁵⁰, 2010 წლის 14 დეკემბერს, არქიტექტურის სამსახურმა შპს “კოლხს” ექვსი მეტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გაუფრძელა გარე ვაჭრობის მიზნით დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების უფლება.⁵¹

აკრძალვის ზონების მიუხედავად, მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მიზნით დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების უფლება გაუფრძელდათ, ასევე, შპს “ორ წუთს”⁵², შპს “საავიაციო კლუბ ექსტრიმს”⁵³, შპს “ტემპო+”–ს⁵⁴, ინდ.მეწარმე “მიხეილ ივანიშვილის”⁵⁵ და “მაზინა კუპატაძეს”⁵⁶.

⁵⁰ აკრძალვის ზონები დაწესდა ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილებით;
⁵¹ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 14 დეკემბრის #12/141954-13 გადაწყვეტილება;
⁵² არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 21 იანვრის #12/1542-13 გადაწყვეტილება;
⁵³ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 1 ნოემბრის #12/126124-13 გადაწყვეტილება;
⁵⁴ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 7 თებერვლის #12/3578-13 გადაწყვეტილება;
⁵⁵ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 1 ივლისის #12/81787-13 გადაწყვეტილება;
⁵⁶ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 18 ოქტომბრის #12/121163-13 გადაწყვეტილება;


აკრძალვის ზონების დაწესების მიუხედავად, დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ, ქ. თბილისის მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მიზნით დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების უფლება მიიღეს: შპს “დემარკმა”⁵⁷, შპს “მობიტელმა”⁵⁸, “ლ. მინდიაშვილმა”⁵⁹ და “ნ. ლობჯანიძემ”⁶⁰, ასევე, შპს “საქართველოს ლატარიის კომპანიაში”, რომელმაც ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილებისა და ამავე დადგენილებაში 2011 წლის 28 თებერვალს შეტანილი ცვლილების მიხედვით, მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მიზნით დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ექვსი თანხმობა მიიღო.⁶¹

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორია აკრძალვის ზონებში მოექცა, ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში, არქიტექტურის სამსახურმა მაინც გააგრძელა/გასცა ამ ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის მიზნით დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების უფლება.

სტატისტიკა რუსთაველის, ჭავჭავაძის და ვაჟა-ფშაველას გამზირების მიხედვით

რუსთაველის გამზირი

გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების რუსთაველის გამზირზე განთავსების შესახებ, საანგარიშო პერიოდში, სულ 45 მისამართზე შევიდა არქიტექტურის სამსახურში შესაბამისი განცხადებები. დადებითი გადაწყვეტილება მხოლოდ ათ შემთხვევაში იქნა მიღებული:



⁵⁷ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 28 აპრილის #07/47711-13 გადაწყვეტილება;

⁵⁸ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 26 ოქტომბრის #12/124218-13 გადაწყვეტილება;


⁵⁹ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 მაისის #12/56234-13 გადაწყვეტილება;

⁶⁰ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 6 ივლისის #12/81448-13 გადაწყვეტილება, ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილების „1^ა“ პუნქტის საფუძველზე;

⁶¹ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 4 ოქტომბრის #07/117470-13 და 2011 წლის 3 მაისის 07/47833-13 გადაწყვეტილებები. ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილებას, 2011 წლის 28 თებერვალს დაემატა „1^ა“ პუნქტი, რომლის მიხედვითაც დადგენილების პირველი და „1^ა“ პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება გარე ვაჭრობას დაქვემდებარებულ ლატარიის ბილეთების სარეალიზაციო დანადგარებზე და მათი განთავსება ნებადართულია ქ. თბილისის მთელ ტერიტორიაზე.


ჭავჭავაძის გამზირი

საანგარიშო პერიოდში, ჭავჭავაძის გამზირზე, 68 მისამართზე მოითხოვეს დაინტერესებულმა სუბიექტებმა გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების შესახებ არქიტექტურის სამსახურისგან თანხმობა. სამსახურმა ათ შემთხვევაში მიიღო დადებითი გადაწყვეტილება:



ვაჟა-ფშაველას გამზირი


ვაჟა-ფშაველას გამზირზე, საანგარიშო პერიოდში 120 მისამართზე იქნა მოთხოვნილი გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების თანხმობა, საიდანაც არქიტექტურის სამსახურმა 42 შემთხვევაში მიიღო დადებითი გადაწყვეტილება:



სტატისტიკა თბილისის რაიონების მიხედვით

ძველი თბილისის რაიონი

დაინტერესებულმა პირებმა საანგარიშო პერიოდში 388 მისამართზე ითხოვეს გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების უფლება ძველი თბილისის რაიონში. არქიტექტურის სამსახურმა 87 მისამართზე გასცა ობიექტის განთავსებაზე თანხმობა:




საერთო ჯამში, შპს “უაიდ დისტრიბუშენსა” და შპს “აუტოდორ.ჯი”-ზე გარე ვაჭრობის მიზნით, ძველი თბილისის რაიონში განთავსებული ჯიხურების 46% მოდის.

ვაკე-საბურთალოს რაიონი

როგორც არქიტექტურის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა⁶², საანგარიშო პერიოდში, ვაკე-საბურთალოს რაიონის ტერიტორიაზე, გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების მიზნით, 717 მისამართზე შევიდა დაინტერესებული პირების განცხადება, საიდანაც არქიტექტურის სამსახურმა 223 შემთხვევაში გასცა შესაბამისი თანხმობა.

გაცემულ თანხმობათა სტატისტიკის მიხედვით, ვაკე-საბურთალოს რაიონში საზოგადოებრივ ადგილებში ყველაზე მეტი გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობა ან/და დანადგარი შემდეგ ექვს კომპანიას აქვს განთავსებული.




⁶² არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 19 აგვისტოს #07/90371-13 კორესპონდენცია.

აღნიშნულ ექვს კომპანიაზე ვაკე-საბურთალოს რაიონში, საზოგადოებრივ ადგილებში განთავსებული გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების 45% მოდის.

ისანი-სამგორის რაიონი

ისანი-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე, სულ, 393 მისამართზე იქნა წარდგენილი განცხადება არქიტექტურის სამსახურში, გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების მოთხოვნით, საიდანაც 147 მათგანი დაკმაყოფილდა.


აღნიშნულ რაიონში, საზოგადოებრივ ადგილებში ყველაზე მეტი გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობა ან/და დანადგარი ხუთ კომპანიას აქვს.



აღნიშნულ ხუთ კომპანიაზე მოდის ისანი-სამგორის რაიონში არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული თანხმობების 56%.


დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე, გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების უფლება 479 მისამართზე მოითხოვეს დაინტერესებულმა პირებმა. არქიტექტურის სამსახურმა 112 შემთხვევაში გასცა შესაბამისი თანხმობა. გაცემული თანხმობების 54% ხუთ კომპანიაზე გადანაწილდა:



გლდანი-ნაძალადევის რაიონი

გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე, 520 მისამართზე შევიდა არქიტექტურის სამსახურში გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების თაობაზე განცხადებები. თანხმობა 162 შემთხვევაში გაიცა. მათი 52% ოთხ კომპანიაზე მოდის:



დიდგორის რაიონი

ყველაზე ცოტა განაცხადი გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების დიდგორის რაიონში განთავსების მოთხოვნით შევიდა არქიტექტურის სამსახურში. მოთხოვნილი 18 მისამართიდან, 5-ზე გასცა თანხმობა არქიტექტურის სამსახურმა.

გარე ვაჭრობის აკრძალვის ზონები ქ. თბილისის ტერიტორიაზე


ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილების მიხედვით, საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ²-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილად მიჩნეული იქნა ქ. თბილისის მთელი ტერიტორია, გარდა ამავე დადგენილების დანართის #1 რუკაზე აღნიშნული ტერიტორიებისა.⁶³

ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ გამოიყურება ქ. თბილისის მთავრობის მიერ, 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილების მიღებამდე რამდენიმე კვირით ადრე (2010 წლის 1 სექტემბრიდან - 2010 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით), დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების თაობაზე სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილ განცხადებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკა.

ჩვენს ხელთ არსებული ელექტრონული მონაცემების მიხედვით, 2010 წლის 1 სექტემბრიდან - 2010 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით, თბილისის არქიტექტურის სამსახურში განცხადების წარმდგენმა სუბიექტებმა, ქ. თბილისის მასშტაბით 264 სხვადასხვა მისამართზე მოითხოვეს დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების თაობაზე თანხმობის მიღება.


⁶³ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის # 25.04.1186 დადგენილების პირველი პუნქტი. იხ. დანართი #2;

2011 წლის 14 ივლისის მდგომარეობით, 2010 წლის 1 სექტემბრიდან - 2010 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით წარდგენილ განცხადებებთან დაკავშირებით, თბილისის არქიტექტურის სამსახურმა 164 შემთხვევაში დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. 82 შემთხვევაში – უარყოფითი, 16 შემთხვევაში – შუალედური, ხოლო 2 შემთხვევაში განცხადებები მიმდინარედ იქნა ჩათვლილი.⁶⁴



როგორც ზემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ირკვევა, 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2010 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით, თბილისის არქიტექტურის სამსახურმა, სულ, 164 თანხმობა გასცა. საინტერესოა, თუ როგორ გადანაწილდა არქიტექტურის სამსახურის თანხმობები განცხადების წარმდგენ სუბიექტებზე.

არქიტექტურის სამსახურის მიერ აკრძალვის ზონების დაწესებამდე გაცემული თანხმობების აბსოლუტური უმრავლესობა – 90%, ორ კომპანიაზე – შპს “უაიდ დისტრიბუშენსა” და შპს “ნუგეში” მოდის, ხოლო დარჩენილი 10% – თორმეტ სუბიექტზე. საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილ დიაგრამას გთავაზობთ:



გარდა ზემოთ მოყვანილი სტატისტიკისა, ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.118 დადგენილებასთან დაკავშირებით, ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ კანონის მიხედვით, ქ. თბილისის მთავრობის დადგენილება ნორმატიულ აქტს წარმოადგენს.⁶⁵

⁶⁴ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 25 ივლისის #07/90371-13 კორესპონდენცია

⁶⁵ საქართველოს კანონი „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“, მუხლი 28, პუნქტი 2;

შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობას 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილება რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურების დაცვით უნდა მიეღო.

რეგლამენტის მიხედვით, ქ. თბილისის მთავრობის სამართლებრივი აქტები მიიღება მთავრობის სხდომაზე.⁶⁶

ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტით დადგენილია, რომ მთავრობის სხდომის ჩატარებამდე, სულ ცოტა ერთი კვირით ადრე, ადმინისტრაცია აქვეყნებს ინფორმაციას სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას, აგრეთვე – მისი დახურვის შესახებ.⁶⁷

ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტით დადგენილია, ასევე, რომ მთავრობის სხდომის ჩატარებამდე, არა უგვიანეს 3 დღისა, სხდომის დღის წესრიგი და თანდართული მასალები ელექტრონული ან მატერიალური ფორმით გადაეგზავნებათ მთავრობის წევრებს.⁶⁸

ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილება, გარდა დადგენილების ტექსტისა, ასევე, მოიცავს „დანართი 1“ რუკას, რომლითაც ქ. თბილისის მასშტაბით ის ტერიტორიები განისაზღვრა, სადაც აკრძალა დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსება, ხოლო რუკაზე დატანილი აკრძალვის ტერიტორიები საკმაოდ შრომატევადი საქმეა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის დოკუმენტის დროის მცირე მოწაკეთში მომზადება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო.

შესაბამისად, როგორც სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურისთვის, ისე თბილისის მთავრობისათვის, თავიდანვე ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ დადგენილების მიღებამდე და შესაბამისი აკრძალვის ზონების დაწესებამდე რამოდენიმე დღით ადრე, შპს „უაიდ დისტრიბუშენისა“ და შპს „ნუგემისათვის“ მიცემული თანხმობების ნაწილი, დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების სწორედ იმ ტერიტორიებზე განთავსების უფლებას იძლეოდა, რომელიც ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილების მიხედვით აკრძალვის ზონებში მოექცა.

უფრო მეტიც, ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილების მიხედვით, ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე, დადგენილების თანდართული რუკით აკრძალულ ტერიტორიაზე განთავსებულ დროებით შენობა-ნაგებობებსა და დანადგარებზე, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდა ობიექტის განთავსების ვადის არაუმეტეს ერთი წლით გაგრძელება.⁶⁹

შეცვლილი აკრძალვის ზონები

2011 წლის 28 თებერვალს ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, რომლითაც

⁶⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“, მუხლი 28, პუნქტი 6

⁶⁷ ქ. თბილისის მერია, ბრძანება #34, 23.06.2009, ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, მუხლი 4, პუნქტი 5;

⁶⁸ ქ. თბილისის მერია, ბრძანება #34, 23.06.2009, ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, მუხლი 4, პუნქტი 3

⁶⁹ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილების მე-3 პუნქტი;

დადგენილებას დაემატა “1¹”, პუნქტი შემდეგი შინაარსით: - ამ დადგენილების პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება მობილურ გარევაჭრობის ობიექტებზე, რომელთა სიმაღლე არ აღემატება 1,1 მეტრს, სიგრძე – 0,8 მეტრს და სიგანე – 0,6 მეტრს. მათი განთავსება ნებადართულია ქ. თბილისის მთელ ტერიტორიაზე გარდა დანართი 2 რუკით გათვალისწინებული ტერიტორიებისა.⁷⁰

28 თებერვლის ცვლილებების მიხედვით, დადგენილებას დაემატა კიდევ ერთი “1²” პუნქტი, რომლის მიხედვითაც: - დადგენილების პირველი და 1¹ პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება გარევაჭრობას დაქვემდებარებულ ლატარიის ბილეთების სარეალიზაციო მობილურ დანადგარებზე. მათი განთავსება ნებადართულია ქალაქ თბილისის მთელ ტერიტორიაზე.⁷¹

შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, ლატარიის ბილეთების მობილური დანადგარების საშუალებით რეალიზაცია მთელი თბილისის ტერიტორიაზე ნებადართული, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

საქართველოში ლატარიის რეალიზაციის უფლება ექსკლუზიურად ერთ იურიდიულ პირს, შპს “საქართველოს ლატარიის კომპანიას” ეკუთვნის, რომელმაც აღნიშნული უფლება ღია ტენდერის შედეგად, 2009 წლის 1 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, მიიღო.⁷²

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიმდინარე წლის 28 თებერვალს დადგენილებაში დამატებული „1²“ პუნქტით დადგენილი აკრძალვის არარსებობა, მხოლოდ შპს “საქართველოს ლატარიის კომპანიაზე” ვრცელდება და სხვა ნებისმიერი პირის სურვილის შემთხვევაში, აღნიშნული უფლებით სარგებლობა ხელმისაწვდომი არ არის.

ჩვენ დავინტერესდით, თუ რით იყო განპირობებული ქ. თბილისის მთავრობის მიერ 2010 წლის 23 სექტემბერს მიღებულ #25.04.1186 დადგენილებაში ცვლილების შეტანა და “1¹” და “1²” პუნქტების დამატება. ამ მიზნით, წერილობით მივმართეთ ქ. თბილისის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოვითხოვეთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:⁷³

- ✓ ვინ იყო ინიციატორი და რით იყო განპირობებული, ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილებაში, 2011 წლის 28 თებერვალს შეტანილიყო ცვლილება, რომლის მიხედვითაც დადგენილებას დაემატა “1¹” და “1²” პუნქტები?
- ✓ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის #25.04.1186 დადგენილებაში, 2011 წლის 28 თებერვალს, “1¹” და “1²” პუნქტების დამატებასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი დოკუმენტი, რაც საფუძველად დაედო დადგენილებაში დამატების შეტანას.

